შეხვედრის აღწერა: კითხვა-პასუხის სესია
თარიღი/დრო: 24.05.2023

მონაწილეები: გოგიტა ღვედაშვილი - GCSD-ის დირექტორის მოადგილე, ქეთევან იმერლიშვილი - GCSD-ის ფინანსურ-ადმინისტრაციული დირექტორი, საგრანტო კონკურსით დაინტერესებული პირები

განხილული საკითხები: საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული კითხვები (კითხვა (Q)
პასუხი (A)):

Q: როგორია საგრანატო კონკურსის პრიორიტეტები?
A: საგრანტო კონკურსის ზოგადი პრიორიტეტები მოცემულია საგრანტო განაცხადში, დამატებით, ასევე შესაძლებელია სხვა იდეების განხილვაც, თუმცა წარმოდგენილი საკითხი აუცილებელია ეხმიანებოდეს საგრანტო კონკურის ზოგად მიზნებს.

Q: თუ მთავარი განმცხადებელი იქნება ააიპ, შეიძლება თუ არა რომ თანაგამმცხადებელი იყოს შპს?
A: დიახ, შეიძლება. ზოგადად, წამყვანი აპლიკანტი არ შეიძლება იყოს კომერციულად მომგებიანი ორგანიზაცია, თუმცა ის შეიძლება იყოს პარტნიორი.

Q: აუცილებელია თუ არა რეგიონული ორგანიზაციის ყოლა პარტნიორად?
A: 100 000 ლარზე ზემოთ შემუშავებული პროექტებისთვის სავალდებულოა განმცხადებელ ორგანიზაციას ჰყავდეს მინიმუმ ერთი პარტნიორი. უპირატესობა მიენიჭება პარტნიორებს რეგიონებიდან, თუმცა აუცილებელი არ არის პარტნიორი რეგიონში რეგისტრირებული ორგანიზაცია იყოს.

Q: თუ შეიძლება ეს საგრანტო პროექტი განვიხილოთ, როგორც უკვე მიმდინარე პროექტის თანადაფინანსება?
A: შესაძლებელია, თუმცა წარმოდგენილ საპროექტო განაცხადს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი აქტივობებიც და სრულად არ უნდა იმეორებდეს უკვე არსერბული პროექტის ღონისძიებებს.

Q: ეთნიკური უმცირესობები თუ განიხილება საპროექტო განაცხადის სამიზნედ?
A: დიახ, შესაძლებელია ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები განხილული იყოს როგორც პროექტის სამიზნე.

Q: აუცილებელია თუ არა ბიუჯეტის ფორმის წარდგენა?
A: საგრანტო კონკურსის ამ ეგაპზე ორგანიზაცია იღებს მხოლოდ საპროექტო რეზიუმეებს, სადაც გათვალისწინებულია მხოლოდ პროექტის ჯამური ბიუჯეტის მითითება.

Q: როგორია საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პირველი ეტაპი?
A: საგრანტო კონკურსის პირველი ეტაპი, მხოლოდ საპროექტო რეზიუმეების წარდგენას ითვალისწინებს, კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადასული განმცადებლები მიიღებენ საპროექტო განაცხადის და ბიუჯეტის სრულ ფორმებს.

Q: დამატებითი კითხვების შემთხვევაში როგორ შეიძლება მოგმართოთ?
A: კონკურსთან დაკავშირებით კითხვების გამოგზავნა შესაძლებელია ელ. ფოსტის საშუალებით - gcsd@gcsd.org.ge 5 ივნისის ჩათვლით.

Q: რამდენი პროექტი დაფინანსდება საგრანტო პროგრამის ფარგლებში?
A: ერთი პროექტის მინიმალური ბიუჯეტი შეადგენდეს 100 000 ლარს, ხოლო მაქსიმალური 400 000 ლარს. კონკურსის ფარგლებში, შესაძლოა დაფინანსდეს ერთი ან რამდენიმე პროექტი.

Q: საპროექტო რეზიუმეს ფორმაში განსაზღვრულია სიტყვების რაოდენობა, შესაძლებელია თუ არა უფრო მეტის წარდგენა.
A: გთხოვთ მაქსიმალურად დაიცვათ რეზიუმეს ფორმაში მოცემული სიტყვების რაოდენობები.

Q: რამდენი ხანი უნდა გრძელდებოდეს დაფინანსებული პროექტი?
A: პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 6-დან 12 თვემდე